საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაშიძე ქაიხოსრო

აბაშიძე ქაიხოსრო (გ. 26. VIII. 1810), იმერეთის 1810 აჯანყების აქტიური მონაწილე. სოლომონ II-ის მომხრე. აჯანყების დროს მისი მამული, ზემო საქარა, მეამბოხეთა თავშესაფრად იქცა. ა-მ მდ. ყვირილის ხეობაში 2 ათ-მდე კაცი შეკრიბა, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილები დაიჭირა და გადაჭრა გზა თბილისსა და ქუთაისს შორის, რაც დიდ ხიფათს უმზადებდა დას. საქართველოში მყოფ რუს. ჯარებს. დაიღუპა სოფ. ცხრაწყაროსთან (ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპ.) გენ. როზენის ჯარებთან შეტაკების დროს.

ლიტ.: ს ო ს ე ლ ი ა ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), [ტ.] 1, თბ., 1973.

ო. სოსელია